1937

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. თებერვლის 25. № 2 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

9. „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან „მერქნის ლპობასთან ბრძოლის კომიტეტის მოწყობის თაობაზე" გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ნოემბრის 10-ის თარიღისა და 1588 №-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

საადმინისტრაციო დაყოფა.

10. რაიონების კიტეგორიებად განაწილების შესახებ.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა. ხოფლის მეურნეობა.

11. 1937 წლის თებერვლის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა.

12. საქართველოს სსრ-ის სანადირო მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის სანადირო მეურნეობის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

13. პურის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

14. მზესუმზირისა და მზესუმზირის ზეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

15. საქართველოს სსრ ქალაქებში ქვაფენილებისა და ტროტუარების დაგებისა და მოვლა-შენახვის შესახებ.

16. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადროსაკომანდო და თავდგომთა შედგენილობის, ზევადიანი სამსახურის საკადროუმცროს საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის და ზევადიანი სამსახურის საკადრო მერიგეთა შედგენილობისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სანაპირო და შინაგანი დაცვის სამხედრო მსახურთა საბინაო ქირის განაკვეთების შესახებ.

ტრანსპორტი.

17. ხაშურის ელექტრომავალთა დეპოსათვის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

ფინანსები.

18. „საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვ-

ნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მოქმედების განგრძობის შესახებ.

19. ყვარლის რაიონის კოლმეურნეთათვის, რომელთაც შემოსავლის არაგანსაზოგადოებული წყაროები აქვთ, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღების განაკვეთების შეცვლის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

20. ქ. ტფილისის დინამოს სტადიონისათვის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

სხვადასხვა საკითხი.

21. ამხ. ნ. ა. ლაკობას ხსოვნის აღნიშვნის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

9. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მერქნის ლპობასთან ბრძოლის კომიტეტის მოწყობის თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ნოემბრის 10-ის თარიღისა და 1538 №-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ნოემბრის 10-ის თარიღის და 1538 №-ის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მერქნის ლპობასთან ბრძოლის კომიტეტის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 34 №-ი, მუხ. 210) გაუქმებულ იქნას.

2. მერქნის ლპობასთან, კერძოდ—სახლის სოკოსთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარება დაეკისროს სათანადო უწყებებს და ხე-ტყის დამმზადებელ და საშენებლო ორგანიზაციებს, კუთვნილებისამებრ.

საქ. სსრ ს.კ.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. დეკემბრის 26. № 1744.
ტფილისი.

საადმინისტრაციო დაყოფა

10. დადგენილება ს.კ.ს.

რაიონების კატეგორიებად განაწილების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც რაიონების არსებული განაწილება კატეგორიებად, რაიონის შედგენილობაში შემავალი სასოფლო საბჭოების რიცხვის მიხედვით, არ შეესაბამება რაიონების ეკონომიურ მნიშვნელობას, მიღებულ იქნას რაიონების შემდეგი განაწილება კატეგორიებად, მათი ეკონომიური მნიშვნელობის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. I-ლი კატეგორიის რაიონებს მიეკუთვნოს:

1. აბაშის რაიონი
2. ადიგენის „
3. ამბროლაურის „
4. ასპინძის „
5. ბაღდადის „
6. ბაშკიჩეთის „
7. ბოგდანოვკის „
8. ვანის „
9. ზემო-სვანეთის „
10. თიანეთის „
11. ორჯონიკიძის „
12. ქვემო-სვანეთის „
13. ყაზბეგის „
14. ყარაიის „
15. ყვარლის „
16. ჩხარის რაიონი
17. ჩხოროწყუს „
18. ცაგერის „
19. წალენჯიხის „
20. წალკის „
21. ხობის „
22. გაგრის „
23. გალის „
24. გუდაუთის „
25. ბათუმის „
26. ქედის „
27. ხულოს „
28. ზნაურის „
29. ჯავის „

შენიშვნა. აღნიშნული რაიონების ჯგუფიდან ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ზემო-სვანეთისა და ქვემო-სვანეთის რაიონებისათვის დაწესებულ იქნას შტატები I-ლი კატეგორიის რაიონებისა, ხოლო განაკვეთები—მე-III კატეგორიისა.

3. მე-II კატეგორიას მიეკუთვნოს:

1. აღბულახის რაიონი
2. ბორჩალოს „
3. ბორჯომის „
4. გეგეჭკორის „
5. გურჯაანის „
6. დუშეთის „
7. ზუგდიდის „
8. კასპის „
9. ლაგოდეხის „
10. ლანჩხუთის „
11. ლუქსემბურგის რაიონი
12. ონის „
13. საგარეჯოს „
14. ტფილისის „
15. ტყიბულის „
16. ჩოხატაურის „
17. წულუკიძის „
18. ოჩემჩირის „
19. ქობულეთის „
20. ლენინგორის „

შენიშვნა. აღნიშნული რაიონების ჯგუფიდან ამბროლაურისა და ოჩემჩირის რაიონებისათვის დაწესებულ იქნას შტატები მე-II კატეგორიის რაიონებისა, ხოლო განაკვეთები—მე-III კატეგორიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მე-III კატეგორიას მიეკუთვნოს:

1. ახალქალაქის რაიონი
2. ახალციხის „
3. გორის „
4. თელავის „
5. მახარაძის „
6. სამტრედიის „
7. სილნაღის „
8. ცხაკაიას რაიონი
9. ჭიათურის „
10. ხაშურის „
11. ჯულელის „
12. სოხუმის „
13. სტალინირის

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული განაწილება რაიონებისა მოახდინოს 1937 წ. იანვრის 1-დან საშტატო კონტიგენტებისა და სამუშაო ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. დეკემბრის 26. № 1757,
ტფილისი.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა.

11. დადგენილება ს.კ.ს.

1937 წლის თებერვლის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში ოთხფეხი საქონლის ზუსტი ცნობების მიღებისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შემოწმებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, „1937 წ. თებერვლის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის სექტემბრის 4-ის დადგენილების შესაბამისად, ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) ჩაატაროს ნატურად მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სოფლად და ქალაქად (ხევსურეთისა და მთა-თუშეთის გამოკლებით) ცხენების, მსხვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხა რქოსანი საქონლის, ღორების, ცხვრების, თხების, ვირების, ჯორებისა და აქლემების აღწერა ყველა მეურნეობებში 1937 წ. თებერვლის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით;

ბ) აღნიშნული აღწერის დამთავრებისას—ჩაატაროს აღწერის ცნობების მასობრივი საკონტროლო შემოწმება; ამასთანავე, შემოწმებით მოცულ უნდა იქნას კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების არა ნაკლებ 10%-სა, როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

2. იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რომლებიც ერეკებიან საქონელს ზამთრის საძოვრებზე, სოფლად საქონლის აღრიცხვასთან ერთად უნდა აღწერონ საქონელი ნატურად ზამთრის საძოვრებზე (შირაქის ველსა, ჭალადიდსა, ყიზლარსა, აზერბაიჯანში, და სხ.).

წინადადება მიეცეს იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომლებიც ერეკებიან საქონელს ზამთრის საძოვრებზე (გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, ტფილისის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, საგარეჯოს, ბაშკიჩეთის, ჯავის, ლენინგორის, სტალინირის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ბათომის, ქობულეთის, ქედისა და სხვა რაიონებისა), წარავლინონ თავიანთი რაიონების პასუხისმგებელი მომუშავენი და აგრეთვე სასოფლო საბჭოების წარმომადგენელნი აღნიშნულ საძოვრებზე უშუალო მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ბრიგადების მუშაობაში მომთაბარე საქონლის აღწერის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის; ამასთანავე უნდა მისცენ მივლინებულ პირთ მიმოსვლისათვის საჭირო საშუალებანი და ამომწურავი მასალა გარეკილი საქონლის შესახებ (მეურნეობათა და საძოვართა სიები, გარეკილი საქონლის რაოდენობა და სხ.).

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყოს თავისი რწმუნებულებისა (საძოვრების საქმეთათვის) და აგრეთვე საძოვრების გამგეების, მინდვრის მცველებისა და მიმაგრებული ზოოპერსონალის უშუალო მონაწილეობა საძოვრებზე აღწერის ჩატარებაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების, კვების მრეწველობის ადგილობრივი მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, მევენახეობა-მეღვინეობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს და აგრეთვე „საქართველოს ჩაის“, „საქართველოს რამის“, ლიმონ-მანდარინის ტრესტებს და სხვა უწყება-ორგანიზაციებს, რომელთაც ჰყავთ ოთხფეხი საქონელი, დაუყოვნებლივ დაამთავრონ საქონლის ინვენტარიზაცია 1937 წ. იანვრის 1-თვის იმ სახეებისა და ჯგუფების საქონლის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია აღწერის პროგრამაში.

4. დაევალოს საქონლის მყოლ სახელმწიფო და კოოპერატიული მეურნეობების დირექტორებს და აგრეთვე კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს—წარუდგინონ აღწერის რეგისტრატორებს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმებით, ზუსტი და პირადად მათ მიერ შემოწმებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები საქონლის რაოდენობის შესახებ 1937 წ. თებერვლის 1-ისა და 1937 წ. იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს „ხორცტრესტს"—დააკისროს თავის კონტორებს წარუდგინონ 1937 წ. იანვრის 15-მდე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს შემოწმებული ცნობები ხორცეულის ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ მეურნეობების ცალკეული კატეგორიებისა და სხვადასხვა საქონლის მიხედვით (სულობით).

6. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს—მიიღონ აქტიური მონაწილეობა საქონლის აღწერის ჩატარებაში, პირადი მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიონ აღწერისათვის საჭირო ყველა სამუშაოს, თვით მასალის მიღებას და ჩაბარებასაც კი, კერძოდ:

ა) გაშალონ მოსახლეობას შორის მასობრივი მუშაობა წინამდგომარე აღწერის მნიშვნელობისა და ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის;

ბ) უზრუნველყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოები აღწერის ჩატარებისათვის ნაცადი და მომზადებული მომუშავეებით საჭირო რაოდენობამდე;

გ) უზრუნველყონ აღწერის მომუშავენი სათანადო ტრანსპორტით, როგორც რაიონის შიგნით, ისე ზამთრის საძოვრებზედაც;

დ) მიამაგრონ სასოფლო საბჭოებს აღწერის მთელი დროის განმავლობაში პასუხისმგებელი სარაიონო მომუშავენი აღწერის ჩატარების საქმეში მათთვის კონკრეტული დახმარების გასაწევად.

7. საქონლის აღწერის სარაიონო შედეგებს, მეცხოველეობის მდგომარეობის ანალიზითურთ, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორები ჩააბარებენ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო სამმართველოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თანდასწრებით, რომელნიც გამოიწვევიან საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორებთან ერთად.

8. აღწერისათვის საქონლის გადამალვაში დამნაშავე პირნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს დაამთავროს აღწერა 1937 წ. მარტის 1-თვის და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1937 წ. მარტის 15-ისა საქონლის აღწერის და მესაქონლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები.

10. დაევალოს აჭარის ასსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს იხმარონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ამა დადგენილების განხორციელებას.

საქ. სსრ სკს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 10, № 28.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 14 №-ში 1937 წ. იანვრის 17.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

12. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის სანადირო მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნას ქემომდევნო დებულება საქართველოს სსრ-ის სანადირო მეურნეობის შესახებ და მისი მოქმედება გავრცელებულ იქნას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ჩათვლით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. დეკემბრის 27. № 187/1801.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ის სანადირო მეურნეობის შესახებ.

I. ს ა ე რ თ ო დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი.

1. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ბუნებრივ პირობებში თავისუფლად მყოფი ნადირ-ფრინველი წარმოადგენს სახელმწიფო სანადირო ფონდს.

2. სანადირო მეურნეობად იგულისხმება ღონისძიებათა სისტემა, რომელთაც მიზნად აქვთ სახელმწიფო სანადირო ფონდის წესიერი ექსპლოატაცია,

სასარგებლო სარეწაო სანადირო ცხოველთა გამრავლება და გაუმჯობესება, გ-ლიმატიზაცია, რეაკლიმატიზაცია და სხ.

3. სანადირო სანახებად იგულისხმება მიწის, ტყიანი და წყლით დაფარული ფართობები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ამა დებულების მე-2 მუხლში აღნიშნუშნული მიზნებისათვის.

4. ძვირფას სანადირო ნადირ-ფრინველთა მარაგის შენახვის, გამრავლებისა და შემდგომ სამეურნეოდ გამოყენების მიზნით სანადირო სანახების შედგენილობიდან გამოყოფა:

ა) სანადირო ნაკრძალები,

ბ) სანადირო აღკვეთილები და

გ) განსაკუთრებული სანადირო სანახები.

5. სანადირო ნაკრძალები წარმოადგენენ ბუნებრივ შემოფარგლულ ნაკვეთებს, რომლებზედაც სამუდამოდ აკრძალულია ნადირობა და აგრეთვე მიწის, ტყიანი და ყლით დაფარული ფართობების ყოველგვარი გამოყენება არა ნაკრძალის მიზნებისათვის.

6. საერთო-სარესპუბლიკო მნიშვნელობის მქონე სანადირო ნაკრძალები არსდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, რაც გამოიტანება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარდგენით, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ნაკრძალები ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით, რაც გამოიტანება ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური ოლქის მიწათმოქმედების საოლქო სამმართველოს წარდგენით, კუთვნილებისამებრ.

7. ნაკრძალთა გამგებლობის წესს ყოველი ნაკრძალისათვის ცალკე განსაზღვრავს განსაკუთრებული დებულებით საქართველოს სსრ ნაკრძალთა კომიტეტი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში—ამ კომიტეტის ბიურო, სათანადო რესპუბლიკური და საოლქო სამიწათმოქმედო ორგანოების წარდგენით.

8. სანადირო აღკვეთილებად იგულისხმება სანადირო სანახების ბუნებრივ შემოფარგლული ნაკვეთები, რომლებზედაც ნადირობა აკრძალულია არა უმეტეს, ვიდრე ათი წლის ვადით.

სანადირო სანახები სანადირო აღკვეთილებად გამოცხადდება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებებით სამონადირო კოოპერაციის ან სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარდგენისამებრ, რაც წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნას ადგილობრივ სამიწათმოქმედო და სატყეო ორგანოებთან.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებანი წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, კუთვნილებისამებრ.

9. უკეთუ სანადირო ნაკრძალებსა და აღკვეთილებში ბლომად ძაღლოვნ- და ნადირ-ფრინველი და საჭიროა მათი გამოყენება მემხეცეობის ან ნადირ-ფრინველთა მოშენების მიზნით, აგრეთვე უკეთუ საჭიროა მავნებელ ნადირ-ფრინველთა გაწყვეტა, ნადირობის უფლებას იძლევიან ყოველ ცალკე შემხვევაში, ის ორგანოები, რომელთა გამგებლობაშიაც ესა თუ ის ნაკრძალი ან აღკვეთილია, ხოლო თვით ნადირობა წარმოებს ამ ორგანოების მიერ შემუშავებული და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური ოლქის საოლქო სამიწათმოქმედო სამმართველოს მიერ (კუთვნილებისამებრ) დამტკიცებული წესების თანახმად.

10. განსაკუთრებულ სანადირო სანახებად იგულისხმება, სათანადო რესპუბლიკურ და საოლქო სამიწათმოქმედო ორგანოების წარდგენისამებრ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებებით გამოყოფილი სანახები—კოლმეურნეობების, სახელმწიფო დაწესებულებებისა, სამონადირო სარეწაო კოოპერაციული ორგანიზაციების, სამხედრო-სამონადირო საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებულ ხანგრძლივ სარგებლობაში გადასაცემად წესიერი სანადირო მეურნეობის წარმოებისა და ექსპლოატაციის მიზნით,—თანაც სარეწაო სანადირო ცხოველთა დაცვისა და მოშენებისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებათა ჩატარებით და ნადირობაზე მისაშვებ პირთა რიცხვის განსაზღვრით.

აღნიშნულ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს განსაკუთრებული სანადირო სანახები გადაეცემათ სანადირო საქმის მოწყობის დამტკიცებული გეგმების კვალობაზე, სანადირო სანახების მიმღები ორგანოების განსაკუთრებული სახელშეკრულებო შეთანხმებით სათანადო რესპუბლიკურ და საოლქო სამიწათმოქმედო ორგანოებთან.

შენიშვნა 1. როგორც საერთო, ისე სპეციალური სანადირო საქმის მოწყობის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციით.

შენიშვნა 2. განსაკუთრებული სანადირო სანახები აღნიშნულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს გადაეცემათ უსასყიდლოდ, ხოლო მოსაწყობ სანადირო მეურნეობებში სათანადო კაპიტალდაბანდებით, რაც გათვალისწინებულ იქნება სანადირო საქმის მოწყობის ზემოხსენებული გეგმებით.

შენიშვნა 3. კოლმეურნეობებს, ხოლო მათ შემდეგ სამონადირო კოოპერაციულ ორგანიზაციებს და სამხედრო-სამონადირო საზოგადოებას, დანარჩენ თანაბარ პირობებში აქვთ უპირატესობა განსაკუთრებული სანადირო სანახების მათზე მიწერისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ნ ა დ ი რ ო ბ ა.

11. ნადირობად ითვლება ბუნებრივ თავისუფლად მყოფ ნადირ-ფრინველთა მოპოება.

12. ნადირობის უფლება საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, გარდა ნაკრძალების, აღკვეთებისა და განსაკუთრებული სანადირო სანახებისა, ეძლევა ყველა მოქალაქეს, ვისაც აქვს საქართველოს სსრ-ის სამონადირო კოოპერაციული სისტემის ორგანიზაციების საწევრო წიგნაკი ან სამხედრო-სამონადირო საზოგადოების მოწმობა.

13. საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე, ნადირობის წესებს, ვადებს და ხერხებს ამტკიცებს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო.

14. ამა დებულებით განსაზღვრული წესების ან ამა დებულების საფუძველზე ნადირობის შესახებ გამოცემული წესების და ვადების დარღვევა, აგრეთვე უკანონო ნადირობის პროდუქციის გაყიდვა, გადაზიდვა და შენახვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

15. ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა აღმომჩენი პირნი პრემირდებიან კონფისკებული იარაღის, საჭერი მოწყობილობისა და უკანონო ნადირობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხების 50%-ით.

დანარჩენი 50% გადაიცემა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლად.

სამონადირო სარეწაო კოპერაციას აქვს კონფისკატების ყიდვის უპირატესი უფლება.

16. ადრეული და მოსაპოებლად აკრძალული ბეწვეულისა და ნადირობის სხვა პროდუქციის შესყიდვისათვის დამმზადებელი ორგანიზაციები პასუხს აგებენ თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 9-ის თარიღის და 680 №-ის დადგენილებისა ბეწვიან ნადირზე „უკანონო ნადირობისა და სხვა სახის უკანონო ნადირობისათვის ჯარიმის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 35 №-ი, მუხ. 215; 1936 წ. მე-6 №-ი, მუხ. 56).

ჯარიმებს ადებენ საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები და ავტონომიური ოლქის მიწათმოქმედების საოლქო სამმართველო, კუთვნილებისამებრ.

III. სანადირო მეურნეობის დაწესებულებანი.

17. სანადირო მეურნეობის ხელმძღვანელობა და ნადირობის საქმის მოწესრიგება საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე ეკისრება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

18. ნადირობის წესებისა და ვადების ასრულებისა და სანადირო სარეწაო ფაუნის და სანადირო სანახების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევა ეკისრებათ: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სამონადირო ინსპექციას და მის ადგილობრივ ორგანოებს, სარაიონო სამიწათ-

მოქმედო განყოფილებებს, სასოფლო საბჭოებს და მათ რწმუნებულებს ნადირობის დარგში, სატყეო ადმინისტრაციას და სამცველოს, მილიციას, სოფლის აღმასრულებლებს და მილიციის დამხმარე ბრიგადებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების რწმუნებულებს ნადირობის დარგში, სამონადირო სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებს და მათ რწმუნებულებს.

19. იმ ორგანოებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც გადაცემული აქვთ ხანგრძლივი სარგებლობისათვის განსაკუთრებული სანადირო სანახები, ეკისრებათ—მოაწყონ სპეციალური სანადირო ზედამხედველობა და მეთვალყურეობა ნადირობის წესების და ვადების შესრულებისა და აღნიშნული სანახების დაცვისათვის.

შენიშვნა. ნაკრძალებში და აღკვეთილებში სანადირო ზედამხედველობა ინახება იმ ორგანოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე, რომელთა გამგებლობაშიაც ნაკრძალები და აღკვეთილებია.

ვაჭრობა. მოგმარაგება.

13. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

პურის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს სსრ-ის მიერ პურის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულებისა და თესლით გაზაფხულის თესვის უზრუნველყოფის გამო, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

აება დაერთვას კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს დაუბრკოლებლად მიჰყიდონ თავიანთი პური (მარცვლეული, ფქვილი და გამომცხვარი პური) კოოპერატიულ ორგანიზაციებს და აგრეთვე გაყიდონ იგი ბაზარში ქალაქად და სოფლად და რკინის გზის სადგურებზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც-კ-ის მდივანი
ვ. ბაქრაძე.

1937 წ. იანვრის 9; № 21.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 8 №-ში 1937 წ. იანვრის 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. დადგენილება ს. კ. ს.

მზეხუმზირისა და მზესუმზირის ზეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. იანვრის 9-ის დადგენილებისა „პურის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ (გაზ. „კომუნისტის“ 1937 წ. მე-8 №-ი; საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 2, მუხ. 13 გავრცელებულ იქნას მზესუმზირასა და მზესუმზირის ზეთზე.

საქ. სსრ ს.კ.ს.ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 20, № 73.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 17 №-ში 1937 წ. იანვრის 21.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

15. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ქალაქებში ქვაფენილებისა და ტროტუარების დაგებისა და მოვლა-შენახვის შესახებ.

„ქალაქებსა და მუშათა დაბებში ქვაფენილებისა და ტროტუარების მშენებლობისა და რემონტის დაფინანსების წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 19-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-16 №-ი, მუხ. 133), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

ქ. ტფილისსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბათუმსა, სოხუმსა, სტალინირსა, გურჯაანსა, თელავსა, გორსა, ხაშურსა, ბორჯომსა, ახალციხესა, ჭიათურასა, ჯუღელსა, წულუკიძესა, ცხაკაიასა, ზუგდიდსა და მახარაძეში ქვაფენილების და ტროტუარების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოთა წარმოებისათვის დამყარებულ იქნას შემდეგი წესი:

1. ქვაფენილებისა და ტროტუარების მშენებლობას და რემონტს აწარმოებენ საქალაქო საბჭოების კომუნალური მეურნეობის ორგანოები ან მათი სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები საამისოდ მათთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული სახსრით, არსებული ტექნიკური წესების და ნორმებისა და საქალაქო საბჭოების მიერ დამტკიცებული სამუშაოთა ერთეულის ღირებულების შეფასებისა და კალკულაციის შესაბამისად.

2. ქვაფენილებისა და ტროტუარების მშენებლობას და რემონტს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ახალ სამრეწველო, სავაჭრო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა მშენებლობასთან, რომლის ღირებულებაც ერთ მილიონ მანეთს აღემატება, აწარმოებენ კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოები ან მათი სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები; ამასთანავე, ხარჯებში მონაწილეობას იღებენ თავიანთი სახსრით ახალი სამრეწველო, სავაჭრო ან სხვა მშენებლობის მწარმოებელი ორგანიზაციები: ქვაფენილების მშენებლობისა და რემონტის ღირებულების 50%-ის რაოდენობით და საალნაგო ნაკვეთების გასწვრივი ტროტუარების მშენებლობის და რემონტის ღირებულების 100%-ის რაოდენობით.

3. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებას, წამოწყებას და ორგანიზაციას საჭიროდ მიაჩნია გაუმჯობესებული ტიპის ქვაფენილისა და ტროტუარის დაგება, ქალაქის ამ ნაწილში არსებულთან შედარებით, მათ უფლება ეძლევათ პირობა დადვან ამაზე კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებთან, იკისრონ-რა მთლიანად ან ნაწილობრივ ის დამატებითი ხარჯები, რაც დაკავშირებულია ქვაფენილის თუ ტროტუარის ტიპის გაუმჯობესებასთან.

4. ახალი ქუჩების გაყვანა დასესებულებათა, წამოწყებათა და ორგანიზაციათა შენობების მდებარეობის ადგილამდე, რომლებიც დამტკიცებული საქალაქო საზღვრის შიგნითაა ისეთ ტერიტორიაზე, რაც მოცული არ არის გზა-ქუჩების ქსელით, უკეთუ უწყებულ წელს ქუჩების გაყვანა გათვალისწინებული არ არის საქალაქო გზათა მშენებლობის გეგმით, შეიძლება მოხდეს ამ დაწესებულებათა, წამოწყებათა და ორგანიზაციათა მოთხოვნით, და მათივე ხარჯით.

5. მიწისზედა ან მიწისქვეშა ნაგებობათა მოწყობასა თუ რემონტთან დაკავშირებით გათხრილი ქვაფენილებისა და ტროტუარების აღსადგენ სამუშაოებს აწარმოებენ კომუნალური მეურნეობის ორგანოები აღნიშნული სამუშაოების მწარმოებელ დაწესებულებათა, წამოწყებათა და ორგანიზაციათა ხარჯით, საქალაქო საბჭოების მიერ დადგენილ ვადაზე, რაც უზრუნველყოფს ნორმალური მოძრაობის დაუყოვნებელ აღდგენას.

6. ქვაფენილებისა და ტროტუარების ტექნიკური ზედამხედველობა და წვრილი რემონტი, რაც მათი ძირითადი ღირებულების 2%-ს არ აღემატება, წარმოებს შენობების მფლობელთა ხარჯით.

7. ქვაფენილებისა და ტროტუარების მოვლა-შენახვისა და რემონტისათვის სხვა რაიმე ხარჯის დაკისრება, გარდა ამა დადგენილებაში აღნიშნულისა, აკრძალულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

გაუქმებულ იქნას:

1) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 2-ის დადგენილება „ქალაქებსა და მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბებში ქვაფენილებისა და ტროტუარების დაგებისა და მოვლა-შენახვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 25 №-ი, მუხ. 143);

2) „ა“ კარის მე-20 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისა „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერებით“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1936 წ. დეკემბრის 27. № 188/1800.

ტფილისი.

---

16. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო-საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის, ზევადიანი სამსახურის საკადრო უმცროს საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის და ზევადიანი სამსახურის საკადრო მერიგეთა შედგენილობისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სანაპირო და შინაგანი დაცვის სამხედრო მსახურთა საბინაო ქირის განაკვეთების შესახებ.

„მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო-საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის, ზევადიანი სამსახურის საკადრო უმცროს საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის და ზევადიანი სამსახურის საკადრო მერიგეთა შედგენილობისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სანაპირო და შინაგან დაცვის სამხედრო მსახურთა საბინაო ქირის განაკვეთების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 21 №-რი მუხ. 186), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადროსაკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის სამხედრომსახურნი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სანაპირო და შინაგანი დაცვის სამხედრო მსახურნი და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მთავარი სამმართველოს თავმჯდომთა შედგენილობის პირები, რომელთაც აქვთ სპეციალური წოდება, საბინაო ქირას იხდიან შემდეგი განაკვეთების მიხედვით:

| თვიური ჯამაგირი: | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. საბინაო ქირა ამა დადგენილების საფუძველზე გადახდევინებულ იქნას 1936 წლის აპრილიდან.

II.

მე-17 მუხლის მე-2 შენიშვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 210) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობისა, ზევადიანი სამსახურის საკადრო უმცროს საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობისა და ზევადიანი სამსახურის საკადრო მერიგეთა შედგენილობის სამხედრო მსახურნი თავიანთი საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან შეღავათიანი განაკვეთებით, განსაკუთრებული კანონის თანახმად.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ სკს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. დეკემბრის 27. № 189/1798.
ტფილისი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

17. დადგენილება ც.ა.კ.

ხაშურის ელექტრომავალთა დეპოსთვის ახმ. ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილებულ იქნას ხაშურის ელექტრომავალთა დეპოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრების შუამდგომლობა ხაშურის ელექტრომავალთა დეპოსათვის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

სრ საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1937 წ. იანვრის 5. № 195.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

18. დადგენილება ს.კ.ს.

„საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებიხათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგრის თიოგბაზე“ გამოცემული დადგენილების მოქმედების განგრძობის შესახებ.

„საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 5-ის თარიღის და 33/23 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-2 №-ი, მუხ. 18), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განგრძობილ იქნას მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 23-ის თარიღის და 25 №-ის დადგენილებისა "1936 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერპიროვნული მეურნეობების დაბეგვრის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-3 №-ი, მუხ. 24, მე-14 №-ი, მუხ. 83) მასში შემდეგი ცვლილების შეტანით:

1. მე-3 მუხლის მესამე ნაწილი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი, რომელთაც აქვთ არაშრომითი შემოსავალი (შესყიდვა-გაყიდვის, მუშა-ძალის დაქირავებისა) და რომელნიც ჩამოთვლილ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახები დადგენილების 55 მუხლში (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. 21 №-ი, მუხ. 124), გამოსაღებს იხდიან წინა საგადასახადო წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200 პროცენტის რაოდენობით“.

2. დადგენილებას დაემატოს მე-13-¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„13-¹. სარეწაო კოოპერაციული არტელების წევრთა მეურნეობანი სოფლად იხდიან სასოფლო-კულტგამოსაღებს იმავე საფუძვლებზე, როგორც კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთაც აქვთ შემოსავლის არაგანსაზოგადოებული წყარო:

ა) უკეთუ სარეწაო კოოპერაციული არტელის უწყებულ წევრს არა აქვს ისეთი სასოფლო მეურნეობა, რომელიც განსაზოგადოებულ უნდა იქნას კოლექტიური მეურნეობის წესდების თანახმად;

ბ) უკეთუ, ამანთანავე, ამ მეურნეობის ყველა შრომაუნარიანი წევრი, ოჯახის დიასახლისისა და მოსწავლეების გარდა, სარეწაო არტელის ან კოლექტიური მეურნეობის წევრია ან დაქირავებით მუშაობს“.

3. მე-15 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„15. დაწესებულ იქნას კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისათვის გამოსაღების გადახდის შემდეგი ვადები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I-ვადა 1937 თებერვლის 15—გამოსაღების განაკვეთის 50%;
II-ვადა 1937 წლის მარტის 15—გამოსაღების განაკვეთის 50%.

ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი, რომელთაც აქვთ არაშრომითი შემოსავალი (შესყიდვა-გაყიდვის, მუშა-ძალის დაქირავებისა) და რომელნიც ჩამოთვლილ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახები დადგენილების 55 მუხლში, კულტგამოსაღებს იხდიან მთლად ერთ ვადაზე 1937 წლის თებერვლის 15-თვის და მათ არავითარი შეღავათი გამოსაღების დაბეგვრაში არ აქვთ".

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 5, № 8.
ტფილისი.

---

19. დადგენილება ს.კ.ს.

ყვარლის რაიონის კოლმეუნეთათვის, რომელთაც შემოსავლის არაგანსაზოგადოებული წყაროები აქვთ, საბინაო და კუტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღების განკვეთების შეცლის შესახებ.

„საბინაო და კუტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების განგრძობის შესახებ" 1937 წ. იანვრის 5-ის თარიღისა და მე-8 №-ის დადგენილების დასამატებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. მე-2 №-ი, მუხ. 18) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ყვარლის რაიონის კოლმეურნეთათვის, რომელთაც შემოსავლის არაგანსაზოგადოებული წყაროები აქვთ, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის დადგენილი გამოსაღების განაკვეთები დაწესებულ იქნას 15 მან. რაოდენობით (ნაცვლად 27 მანეთისა).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 16, № 65.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვა

20. დადგენილება ც.ა.კ.

ქ. ტფილისის დინამოს სტადიონისათვის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

სრულად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმყოფილებულ იქნას ქ. ტფილისის ფიზკულტურელთა აქტივის საერთო კრების შუამდგომლობა ქ. ტფილისის დინამოს სტადიონისათვის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ ის მდივანი **თ. ულენტი.**

1937 წ. იანვრის 5, № 196.
ტფილისი.

სხვადასხვა საკითხი

21. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ამხ. ნ. ლაკობას ხსოვნის აღნიშვნის შესახებ.

1-1951

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამხ. ნესტორ აპოლონის-ძე ლაკობას ხსოვნის აღსანიშნავად:

1) მიეთვისოს ამხ. ნ. ა. ლაკობას სახელი ფერმენტაციულ ქარხანას ქალ. ტფილისში;

2) მიეთვისოს ამხ. ნ. ა. ლაკობას სახელი ტფილისის 38 სრულ საშუალო სკოლას;

3) ბრძოლის ქუჩა ქალ. ტფილისში გადარქმეულ იქნას ლაკობას ქუჩად;

4) დაარსებულ იქნას ამხ. ნ. ა. ლაკობას სახელობის ხუთ-ხუთი სტიპენდია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და ტფილისის სამედიცინო ინსტიტუტში აფხაზეთის ასსრ სტუდენტებისათვის;

5) ეთხოვოს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რათა ქალ. გუდაუთი გადარქმეულ იქნას ქალ. ლაკობად და გუდაუთის რაიონი ლაკობას რაიონად.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. დეკემბრის 8. № 185/1775.
ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 3. 3/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1¼ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 26/I; ხელმოწერილია დასაბეჭდად ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 16916 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 135